

საბაკალავრო პროგრამების კრედიტებით
გაანგარიშებისა და სტუდენტთა შეფასების წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. წინამდებარე წესი შემუშავებულია უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის“ საფუძველზე.

2. ეს დოკუმენტი ადგენს საბაკალავრო პროგრამის ცალკეული კომპონენტისათვის კრედიტების გაანგარიშების და მინიჭების, სტუდენტის სასწავლო დატვირთვის განსაზღვრისა და ორგანიზების, სტუდენტის შეფასების წესებს და პროცედურებს.

3. ამ წესის გამოყენება სავალდებულოა დაწესებულების ნებისმიერი საბაკალავრო პროგრამის ფარგლებში.

მუხლი 2. ტერმინთა განმარტება

ამ წესის მიზნებისათვის გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

ა) კრედიტი – ერთეული, რომელიც გამოხატავს სტუდენტისათვის საჭირო სასწავლო დატვირთვას და რომლის მიღებაც შესაძლებელია სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ;

ბ) საკონტაქტო საათი – საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის განმახორციელებელი პერსონალის ჩართულობით სტუდენტის სასწავლო საქმიანობისთვის განსაზღვრული დრო;

გ) დამოუკიდებელი საათი -საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის განმახორციელებელი პერსონალის ჩართულობის გარეშე სტუდენტის სასწავლო საქმიანობის დრო;

დ) საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტები – სასწავლო კომპონენტი, რაც განისაზღვრება საგანმანათლებლო პროგრამით;

ე) სტუდენტის სასწავლო დატვირთვა – დრო, რომელიც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მისაღწევად. სტუდენტის სასწავლო დატვირთვა ეფუძნება დამოუკიდებელ და საკონტაქტო საათებს;

ვ) სწავლება-სწავლის მეთოდი – საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის განმახორციელებელი პირის მიერ სტუდენტისთვის, ცოდნის გადაცემის საშუალება, როგორიცაა: ლექცია, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, პრაქტიკული მუშაობა, სემინარი, ელექტრონული რესურსით სწავლება, ელექტრონული სწავლება და სხვ., წავლება-სწავლის მეთოდი შეიძლება მოიცავდეს შესაბამის აქტივობებს (დისკუსია, დებატები, დემონსტრირება, პრეზენტაცია, სემინარი და სხვ.), რაც განისაზღვრება სასწავლო კომპონენტის სილაბუსით;

ზ) შეფასების ფორმები – შეფასების ფორმებია შუალედური შეფასება (ერთჯერადი ან მრავალჯერადი) და დასკვნითი შეფასება, რომელთა ჯამი წარმოადგენს საბოლოო შეფასებას, რაც განისაზღვრება სასწავლო კომპონენტის სილაბუსით;

თ) შეფასების კომპონენტები – შეფასების ფორმების ნაწილი, რომელიც განსაზღვრავს სტუდენტის ცოდნის ან/და უნარის ან/და კომპეტენციების შეფასების ხერხს/ხერხებს, რომელიც შეიძლება აერთიანებდეს შეფასების ერთგვაროვან მეთოდებს (ზეპირი/წერიტი გამოცდა, ზეპირი/წერიტი გამოკითხვა, აუდიოვიზუალური ნაწარმოების შექმნა, სპექტაკლი, პრაქტიკული/თეორიული სამუშაო და სხვ.), რაც განისაზღვრება სასწავლო კომპონენტის სილაბუსით;

ი) შეფასების მეთოდი – საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტში განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის შესაფასებლად გამოსაყენებელი საშუალება/საშუალებები (ტესტი, ესე/ესეი, დემონსტრირება, პრეზენტაცია, დისკუსია, აუდიოვიზუალური ნაწარმოების წარმოდგენა, სპექტაკლში მონაწილეობა/დადგმა, საკონცერტო შესრულება, პრაქტიკული/თეორიული დავალების შესრულება, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, დისკუსიაში მონაწილეობა, კაზუსის ამოხსნა, იმიტირებულ პროცესში მონაწილეობა, ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდა და სხვ) რაც განისაზღვრება სასწავლო კომპონენტის სილაბუსით;

- კ) შეფასების ინსტრუმენტი - შეფასების მეთოდის პროცედურული და შინაარსობრივი აღწერა, რომელიც მოიცავს შეფასების კრიტერიუმებს;
- ლ) შეფასების კრიტერიუმი - შეფასების მეთოდის საზომი ერთეული, რითაც დგინდება სწავლის შედეგების მიღწევის დონე.
- მ) შემფასებელი - საამისოდ კომპეტენტური პირი ან პირთა ჯგუფი, რომელიც ამ დოკუმენტით დადგენილი წესით აფასებს სტუდენტის მიერ სწავლის შედეგების მიღწევას. შემფასებელი შეიძლება იყოს პროგრამის კომპონენტის განმახორციელებელი პირი, ხოლო რექტორის გადაწყვეტილებით - სხვა პირი.

მუხლი 3. კრედიტების განაწილება

1. კრედიტი ნაწილდება საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრულ თითოეულ კომპონენტს შორის და მოიცავს კონკრეტული კომპონენტით მისაღწევი სწავლის შედეგებისთვის საჭირო საკონტაქტო და დამოუკიდებელ საათს.
2. სასწავლო კომპონენტი არის ერთსემესტრიანი.
3. ერთი კრედიტი (ECTS) უტოლდება სტუდენტის სასწავლო საქმიანობას (სტუდენტის დატვირთვას) 25 საათის განმავლობაში და მოიცავს როგორც საკონტაქტო, ასევე დამოუკიდებელ საათებს.
4. კრედიტთა განაწილება სხვადასხვა სასწავლო კომპონენტებს შორის ეფუძნება საშუალო აკადემიური მიღწევების მქონე სტუდენტის დატვირთვის რეალურ შეფასებას, რომელიც საჭიროა ყოველი კომპონენტისათვის დადგენილი სწავლის შედეგის მისაღწევად. კრედიტების განაწილების სისწორე მოწმდება სტუდენტის რეალური დატვირთვის შესახებ სრული ინფორმაციის შეგროვებითა და ანალიზით, რაშიც აკადემიურ პერსონალთან/სამეცნიერო პერსონალთან ერთად სტუდენტებიც იღებენ მონაწილეობას.
5. კრედიტის გაანგარიშებისას არ გაითვალისწინება დამატებითი გამოცდისთვის (მომზადება, ჩაბარება, შეფასება) განსაზღვრული დრო, აგრეთვე საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის განმახორციელებელ პირთან საკონსულტაციო დრო.
6. აკადემიაში ერთი და იგივე შინაარსის, მოცულობისა და სწავლის შედეგის მქონე სასწავლო კომპონენტი ყველა პროგრამის სტუდენტისათვის მოიცავს თანაბარი რაოდენობის კრედიტებს.

მუხლი 4. სასწავლო კვირა/სემესტრი/წელი

1. ერთი აკადემიური წელი მოიცავს 60 (ECTS) კრედიტს.
2. საგანმანათლებლო პროგრამის ან/და სტუდენტის ინდივიდუალური სასწავლო პროგრამის თავისებურებების გათვალისწინებით, დასაშვებია სტუდენტის სასწავლო წლიური დატვირთვა აღემატებოდეს 60 კრედიტს ან იყოს 60 კრედიტზე ნაკლები. დაუშვებელია სტუდენტის სასწავლო წლიური დატვირთვა აღემატებოდეს 75 (ECTS) კრედიტს.
3. აკადემიური წელი შედგება 2 სემესტრისაგან;
4. სემესტრი არის დროის პერიოდი, რომელიც მოიცავს სასწავლო კვირათა ერთობლიობას, დამატებითი გამოცდის/გამოცდების ჩატარებისა და დამატებით გამოცდაზე/გამოცდებზე სტუდენტის მიღწევის შეფასების პერიოდს.
5. ერთი სემესტრი მოიცავს 21 კვირას, მათ შორის მე-18-მე-19 კვირები ეთმობა სტუდენტის დამოუკიდებელ მუშაობას და დასკვნითი შეფასებისათვის მომზადებას, მე-19 კვირის განმავლობაში ხორციელდება დასკვნითი შეფასებები. დამატებითი შეფასებების ორგანიზება ხდება მე-20-21-ე კვირებში.
6. სასწავლო კვირა არის დროის პერიოდი, რომელზეც ნაწილდება საშუალო აკადემიური მიღწევის მქონე სტუდენტის სასწავლო დატვირთვა და მოიცავს როგორც საკონტაქტო, ასევე დამოუკიდებელ დროში შესასრულებელი აქტივობების ერთობლიობას.
7. სტუდენტის სასწავლო დატვირთვა ერთი კვირის განმავლობაში არ აღემატება 40 საათს;

მუხლი 5. სტუდენტის შეფასება

1. სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონის შეფასება პროგრამის თითოეულ კომპონენტში მოიცავს შუალედურ და დასკვნით შეფასებას.
2. შეფასების თითოეულ ფორმასა და კომპონენტს შეფასების საერთო ქულიდან (100 ქულა) განესაზღვრება ხვედრითი წილი საბოლოო შეფასებაში, რაც განისაზღვრება სასწავლო კომპონენტის სილაბუსით;
3. დაუშვებელია კრედიტის მინიჭება შეფასების მხოლოდ ერთი ფორმის (შუალედური ან დასკვნითი შეფასება) გამოყენებით. სტუდენტს კრედიტი ენიჭება ამ მუხლის მე-9 პუნქტით განსაზღვრული დადებითი შეფასების მიღების შემთხვევაში.
4. შეფასების თითოეული ფორმა მოიცავს შეფასების კომპონენტს/კომპონენტებს, რომელიც მოიცავს შეფასების მეთოდს/მეთოდებს, ხოლო შეფასების მეთოდი/მეთოდები იზომება შეფასების კრიტერიუმებით.
5. შეფასების კომპონენტი, მეთოდი და კრიტერიუმი ადეკვატური უნდა იყოს საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტით განსაზღვრული და მისაღწევი სწავლის შედეგების შეფასებისთვის.
6. შეფასების თითოეულ ფორმაში მინიმალური კომპეტენციის ზღვარია 50%.
7. საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის განმახორციელებელი პირი უფლებამოსილია შეფასების კომპონენტშიც განსაზღვროს მინიმალური კომპეტენციის ზღვარი, რაც აისახება საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის სილაბუსში.
8. საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის განმახორციელებელი პირი უფლებამოსილია განსაზღვროს სტუდენტის დასკვნით შეფასებაზე დაშვების წინაპირობები, რაც შეიძლება იყოს შუალედური შეფასებისათვის დადგენილი კომპეტენციის ზღვარის გადალახვა ან/და შუალედური შეფასების ამათუბი კომპონენტში დადებითი შეფასების მიღების აუცილებლობა;
9. საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტების სწავლის შედეგების მიღწევის შეფასება უნდა დასრულდეს იმავე სემესტრში, რომელშიც იგი ხორციელდებოდა.
10. შეფასების სისტემა უშვებს:
 - ა) ხუთი სახის დადებით შეფასებას:
 - ა.ა) (A) ფრიადი – შეფასების 91-100 ქულა;
 - ა.ბ) (B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა; ა.გ) (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;
 - ა.დ) (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა; ა.ე) (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.
 - ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას:
 - ბ.ა) (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
 - ბ.ბ) (F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.
11. საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტში, FX-ის მიღების შემთხვევაში დამატებითი გამოცდა ინიშნება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში.
12. სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა.
13. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის საბოლოო შეფასებაში.
14. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასების გათვალისწინებით საგანმანათლებლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში 0-50 ქულის მიღების შემთხვევაში, სტუდენტს უფორმდება შეფასება F-0 ქულა.
15. შეფასების შედეგების გასაჩივრება შესაძლებელია დეკანთან, შეფასების შედეგების სტუდენტისათვის გაცნობიდან მომდევნო სამუშაო დღეს, წერილობით.
16. ამ წესის მიზნებისათვის შეფასების შედეგი, თუ ის დაუყოვნებლივ არ ხდება სტუდენტისათვის ცნობილი (მაგ. გამოცდის ჩატარება ელექტრონული ფორმით), სტუდენტისათვის გაცნობილად

ჩაითვლება სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემაში მისი შეყვანიდან 24 საათის გასვლის შემდეგ.

17. შეფასების შედეგები ფორმდება შეფასების უწყისში (დანართი 1).

18. შეფასების უწყისები ფორმდება და რეგისტრირდება შესაბამისი ინსტრუქციის შესაბამისად (დანართი 2).

მუხლი 6. შეფასების ინსტრუმენტი

1. შეფასების ინსტრუმენტი შემუშავდება საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის განმახორციელებელი პირის მიერ;

2. შეფასების ინსტრუმენტი მოიცავს შემდეგ ინფორმაციას:

ა) პროგრამის დასახელება;

ბ) პროგრამის კომპონენტის დასახელება და კოდი;

გ) შეფასების ფორმის დასახელება;

დ) შეფასების კომპონენტის დასახელება;

ე) შეფასების მეთოდი;

ვ) დავალების აღწერა და შინაარსი;

ზ) შეფასების კრიტერიუმი;

თ) დამატებითი ინფორმაცია (საჭიროების შემთხვევაში).

3. სათანადო გარემოებების არსებობის შემთხვევაში (მაგალითად, სტუდენტის ფიზიკური მდგომარეობა, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროება და სხვა) სტუდენტს უფლება აქვს მოითხოვოს შეფასების ინსტრუმენტის შეცვლა, თუმცა ეს უნდა გამორიცხავდეს სტუდენტისათვის პრივილეგიის მინიჭებას და გამოყენებული ინსტრუმენტი უნდა იყოს ვალიდური, ანუ იძლეოდეს შესაფასებელი სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურების შესაძლებლობას.

მუხლი 7. გამოცდაზე ქცევის ზოგადი წესები

7.1. გამოცდაზე დაუშვებელია ქულების, ყურსასმენების, ხელთათმანების ტარება;

7.2. ყველა პირადი ნივთი (ჩანთები, პალტოები და სხვა) უნდა ჩაბარდეს ადმინისტრაციას ან მოთავსდეს სტუდენტის სკამის ქვეშ.

7.3. გამოცდაზე კალკულატორის ან ნაბეჭდი მასალის გამოყენება დაიშვება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამას ითვალისწინებს შეფასების ინსტრუმენტის პირობა.

7.4. დაუშვებელია პორტატული საკომუნიკაციო საშუალებების გამოყენება კალკულატორად.

7.5. ნებისმიერი ელექტრონული საშუალება (მობილური ტელეფონი, სხვა სახის პორტატული საკომუნიკაციო საშუალებები, ხმის აღწარმოების საშუალებები, ფოტო და ვიდეო კამერები და სხვა) უნდა გამოირთოს.

7.6. ელექტრონული საშუალებებით სარგებლობის, ან მობილურის დარეკვის შემთხვევაში მეთვალყურე ვალდებულია სტუდენტს დაატოვებინოს გამოცდა;

7.7. გამოცდის მსვლელობისას მოწვევა ან მოსაწვევად გასვლა კატეგორიულად აკრძალულია;

7.8. გამოცდაზე დასაშვებია მხოლოდ წყლის ან გამაგრილებელი სასმელის შეტანა ინდივიდუალურად.

7.9. გამოცდაზე საკვების შეტანა და მოხმარება (მათ შორის საღებავი რეზინის) კატეგორიულად აკრძალულია, გარდა სამედიცინო მიზნებისა, რის შესახებაც წინასწარ უნდა ეცნობოს კომისიას;

7.10. ქვემოთ ჩამოთვლილი ქმედებები გარდა გამოცდიდან გამევაებისა, გამოიწვევს სტუდენტის დისციპლინურ პასუხისმგებლობას. თუ შესაბამისი აქტით დისციპლინური სახდელი განსაზღვრული არაა, სახდელის სახეს განსაზღვრავს დისციპლინური საბჭო. დისციპლინურ დარღვევად ითვლება:

ა) საგამოცდო მასალების წინასწარ მოპოვება ან მისი მცდელობა;

ბ) ნებადართულის გარდა სხვა ტექნიკური საშუალებების გამოყენება;

- გ) საგამოცდო დროის ამოწურვის შემდეგ, საგამოცდო მასალებზე რაიმე ჩანაწერების გაკეთება;
- დ) კონსპექტების, “შპარგალკების”, წიგნების და სხვა მასალების გამოყენება თუ ამას გამოცდის პირობა არ ითვალისწინებს;
- ე) სხვა სტუდენტის ტესტში ან ნაშრომში ჩახედვა ან მისი გადაწერა;
- ვ) საკუთარი ნაშრომის ან ქაღალდის ჩვენება ან გადაწოდება სხვა სტუდენტისათვის ან ასეთი მოქმედების ხელშეწყობა;
- ზ) საუბარი, ხმაური, ჟესტიკულაციის გამოყენება, გარდა ნებადართული ჟესტიკულაციისა;
- თ) სხვა სტუდენტისათვის ხელის შეშლა ნებისმიერი ფორმით;
- ი) სხვა პირებთან კონსულტირება ან ურთიერთობა დარბაზის გარეთ, გამოცდის პერიოდში;
- კ) საგამოცდო მასალების გადაწერა, გადაღება მისი გარეთ გატანა ან გატანის მცდელობა ნებისმიერი ფორმით;
- ლ) სხვა პირის ნაცვლად გამოცდის ჩაბარება;
- მ) გამომცდელის მითითებების შეუსრულებლობა, მითითებების გაპროტესტება გამოცდის მსვლელობისას ან გამომცდელის შეურაცყოფა;
- ნ) საგამოცდო მასალებზე ყალბი ინფორმაციის მითითება;
- ო) საგამოცდო კომპიუტერის გამოყენება სხვა მიზნებისათვის, გარდა გამოცდის ჩაბარებისა, აგრეთვე მისი თვითნებურად გამორთვა და გადატვირთვა ან სხვა ოპერაციების შესრულება.

7.11. გამოცდაზე ქცევის წესების დარღვევის შემთხვევაში, გამოცდის მიმდინარეობის დროს, მეთვალყურე ვალდებულია სტუდენტს დაუყოვნებლივ დაატოვებინოს საგამოცდო დარბაზი და არსებობის შემთხვევაში შეინახოს წესების დარღვევის მტკიცებულებები, გამოცდის დასრულებამდე. ამ მოქმედებათა განხორციელება ხელს არ უნდა უშლიდეს გამოცდის მიმდინარეობისას სიმშვიდის შენარჩუნებას;

8. დამატებითი გამოცდების/შეფასების ორგანიზების სპეციფიკა

- 8.1. დასკვნით გამოცდაზე უარყოფითი შედეგის მიღების, გამოცდაზე გამოუცხადებლობის ან დასრულებამდე გამოცდის დატოვების შემთხვევაში, სტუდენტს მოთხოვნის საფუძველზე საშუალება ეძლევა ერთხელ გავიდეს დამატებით დასკვნით გამოცდაზე.
- 8.2. დამატებით გამოცდაზე შეუფასებლობის შემთხვევაში (არ გამოცხადება, გამოცდის დატოვება) ძალაში რჩება თავდაპირველი შეფასება.
- 8.3. დამატებით გამოცდაზე გასასვლელად სტუდენტი განცხადებით (მ.შ. სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემის მეშვეობით) მიმართავს ადმინისტრაციას, სადაც მიუთითებს თუ პროგრამის რომელ კომპონენტში სურს დამატებითი გამოცდის ჩაბარება.
- 8.4. დამატებით გამოცდაზე გამსვლელთა განაცხადების რეგისტრაცია უნდა დასრულდეს გამოცდის ჩატარებამდე 3 სამუშაო დღით ადრე.
- 8.5. დამატებითი შუალედური შეფასების ორგანიზების შესაძლებლობის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს პროგრამის შესაბამისი კომპონენტის ხელმძღვანელი და ასეთი შესაძლებლობის არსებობის შემთხვევაში და დამატებითი შუალედური შეფასების ორგანიზების პირობებს ასახავს სილაბუსში.

საქართველოს
ბიზნესის
აკადემია



BUSINESS
ACADEMY
OF GEORGIA

სტუდენტის შეფასების უწყისი # -----

პროგრამის კომპონენტი -----

შემფასებელი -----

ჯგუფის #----- სპეციალობა -----

##	გვარი, სახელი	შუალედური შეფასებების ჯამი	დასკვნითი გამოცდის შეფასება	საბოლოო შეფასება	
		ქულა	ქულა	ქულა	შეფასება
1					

შემფასებლის ხელმოწერა -----

მენეჯერი სასწავლო დარგში -----

უწყისის დახურვის თარიღი ~-----~ ----- 20---- წელი

ბ.ა.

უწყისის შეფასების და რეგისტრაციის წესი

1. უწყისი გამოიყენება სტუდენტის შეფასების გაფორმების მიზნით
2. „შემფასებელში“ იწერება იმ პირის ინიციალი და გვარი, ვინც განახორციელა შეფასება. თუ შეფასება განხორციელდა კომისიის მიერ, იწერება კომისიის წევრების გვარები, თუ შეფასების სხვადასხვა კომპონენტი განახორციელა სხვადასხვა პირმა, იწერება თითოეულის გვარი.
3. შეფასების მიზნებისათვის ქულები მრგვალდება მთელამდე სიზუსტით.
4. სვეტში „შუალედური შეფასებების ჯამი“ იწერება შუალედური შეფასებების შედეგად მოცემულ ფაქტობრივად დაწერილი ქულა, რომელიც სტუდენტს ეთვლება საბოლოო შეფასების მიზნით. (შენიშვნა: არ უნდა შეიკრიბოს იქ ქულები, რომლებიც დასკვნით გამოცდაზე დაშვების წინაპირობებს წარმოადგენენ და სტუდენტის მიერ ზღვარი ვერ იქნა გადალახული).
5. სვეტში „დასკვნითი გამოცდის შეფასება“ იწერება დასკვნით გამოცდაზე მიღებული ქულა, თუ ის წარმოადგენს ამ გამოცდისათვის დადგენილი მაქსიმალური ქულის 50% ან მეტს. თუ მიღებული ქულა 50%-ზე ნაკლებია, ამ სვეტში იწერება „0“.
6. სტრიქონში „საბოლოო შეფასება - ქულა“, იწერება შუალედური შეფასებების და დასკვნითი გამოცდის შეფასების ჯამი;
7. სტრიქონში „საბოლოო შეფასება- შეფასება“ შეიტანება „საბოლოო შეფასება - ქულა“ გრაფის შესაბამისი ასოითი შეფასება შემდეგი სქემის მიხედვით:
 - (A) ფრიადი – მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი;
 - (B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90%;
 - (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80%;
 - (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70%;
 - (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60%;
 - (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50%,
 - (F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები.
8. უწყისის მენეჯერისათვის ჩაბარების ვალდებულება ეკისრება შემფასებელს, ხოლო რამდენიმე შემფასებლის შემთხვევაში- ბოლო შემფასებელს.
9. უწყისით გაფორმებული შეფასება ძალაში შედის მენეჯერისათვის მისი ჩაბარების და მენეჯერის მიერ უწყისის ხელმოწერის და ნომრის მინიჭების მომენტიდან.
10. მენეჯერის მიერ უწყისი რეგისტრირდება სპეციალურ ჟურნალში. ნუმერაცია შედგება სამი ციფრისაგან, რომელიც წარმოადგენს უწყისის რიგით ნომერს. რეგისტრაცია ყოველი ახალი კალენდარული წლიდან თავიდან იწყება.
11. მენეჯერი ვალდებულია შემფასებელს უწყისთან ერთად მოსთხოვოს შეფასების მტკიცებულებების წარმოდგენა (არსებობის შემთხვევაში).